საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ ად13/12/14 "05" 03 2015წ.

სსიპ არქიტექტურის სამსახურის ძველი თბილისის
სანებართვო დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლ. ძაგნიძეს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ა.წ 19 თებერვლის N07-13/247 და 25 თებერვლის N07-13/295 წერილებით წარმოდგენილი საკითხების შესახებ გაცნობებთ სააგენტოს პოზიციას.

მიეცა დადებითი შეფასება:
AR1286019 12.02.2015 რიყის ტერიტორია, ღვინის აღმართსა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/026/ ღვინის აღმართსა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთი 90/14-ში სასტუმროს რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას;
AR1286309 20.02.2015 პ. კაკაბაძის ქ. N7-ში მშენებლობის ნებართვას;
AR1287819 19.02.2015 დიდხევის დაღმართი N2/ხეთაგუროვის ქ. N1-3-ში სარეკლამო აბრების მოწყობის საკითხს - რეკომენდებულია მხოლოდ მოცულობითი ასოების განთავსება;
AR1286345 23.02.2015 დ. უზნაძის ქ. N68ა-ში რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას;
AR1288997 24.02.2015 კოტე აფხაზის ქ. N16-ის მიმდებარედ ღია კაფეს მოწყობის საკითხს;
AR1287573 24.02.2015 ტერენტი გრანელის ქ. N 19-ში შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტს;
AR1286969 23.02.2015 ბაქოს ქ. N20ა-ში მშენებლობის ნებართვას;
AR1287767 19.02.2015 გრიშაშვილის ქ. N41-ში რეკონსტრუქციის პროექტს და მშენებლობის ნებართვას;
AR1287007 17.02.2015 გ. დოლიძის ქ. N30-ში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კორექტირებულ პროექტს და მშენებლობის ნებართვას.

განმეორებით წარმოსადგენია:
AR1283781 18.02.2015 ჩუბინიძის ქ. N16ა-ში დემონტაჟის პროექტი - წარმოსადგენია ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით დამუშავებული საპროექტო დოკუმენტი;
AR1286452 19.02.2015 ქეთევან წამებულის ქ. 25-ში კორპუსი N6/7-ში სამერცხულების მოწყობის საკითხი - რეკომენდებულია ზენიტური ფანჯრების მოწყობა;
AR1288065 20.02.2015 ივერიის ქ. N9-ის მიმდებარედ კარის მოწყობის საკითხი - წარმოსადგენია სრულყოფილი დოკუმენტაცია, ინტერიერისა და ჭრილის ჩვენებით;
AR1288448 23.02.2015 დგებუაძის ქ. N6-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატება - შესამცირებელია ზედა ნაწილის მოცულობა;

დაბეჭდვა
სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური
№ 07-13/247
06 03 2015 წერა.
თბილისი 0160, ქ. შარტავას ქ. №7

AR1287538 23.02.2015 ხიდისთავის შესახვევი N12/9 ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატება - პარამეტრების მატება 3.05-ით გადაჭარბებულია. რეკომენდაცია ატიკის სართულის მოხსნისა და სახურავის ფარგლებში მანსარდის მოწყობის პირობით არ არის გათვალისწინებული. დასაშვებია კ2-კოეფიციენტის მხოლოდ 2.8 კოეფიციენტამდე გაზრდა;
AR1288381 23.02.2015 უ. ჩხეიძის ქ. N12/ჩხეიძის ქ. N12-ის მიმდებარე ტერიტორია, უ. ჩხეიძის ქ. N14-ში, უ. ჩხეიძის ქ. N16-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატება - არ არის გათვალისწინებული წინამორბედი საბჭოს რეკომენდაციები, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით პარამეტრები გადაჭარბებულია;
AR1281106 23.02.2015 ერეკლე II ქ. N3-ში სასტუმროს კორექტირებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა - წარმოსადგენია კორექტირებული პროექტის ალტერნატიული ვარიანტი.
AR1284854 24.02.2015 ნიკოლაძის ქ. N12-ში როდენის ქ. N8-ში, ი. ნიკოლაძის ქ. N14-ში ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატების საკითხი - ესკიზური პროექტით წარმოდგენილი მოცულობა გადაჭარბებულია;
AR1288721 25.02.2015 ჩუბინაშვილის ქ. N4-ში რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა - წარმოსადგენია ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და მის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესრულებული ესკიზური პროექტი.

უარი ეთქვა:
AR1286407 19.02.2015 ალ. ჭავჭავაძის ქ. N9-ში კარისა და საჩრდილობლის მოწყობის საკითხს - არქიტექტურულ-მხატვრული და ტექნიკური თვალსაზრისით ფანჯრის ღიობის გადაკეთება არამიზანშეწონილია. ამგვარი ჩარევით ირღვევა სახლის საფასადე სტრუქტურა;
AR1286524 22.02.2015 ზ. დუმბაძის ქ. N24/გერგეთის შესახვევი N3/გერგეთის შესახვევი N3-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 70/049)/ოქროყანა (ნაკვეთი 06/066)/გერგეთის შესახვევი N3-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 06/67 მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის საკითხი - მიწის ნაკვეთის გაზრდა შესაძლებელია. სასტუმროს მოცულობა შეთანხმებულია გარემო პირობების გათვალისწინებით. შეთანხმებული პროექტის ცვლილება (გაზრდა) მიუღებელია;
AR1287173 23.02.2015 კოტე მესხის ქ. N20-22-ში ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატების საკითხს - წარმოდგენილი ესკიზური პროექტით მოცულობა გადაჭარბებულია. შენობის სიმაღლე არ უნდა აცდეს ქუჩის ნიშნულს.

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე